ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მიხეილ გოგოტიშვილის 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოვხვდი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით. ვარ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"ს თავმჯდომარე.

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს 12 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებული იქნა 87 განკარგულება და დამტკიცდა 45 დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიის სხდომებში. სულ დავესწარი "სივრცითი–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის" კომისიის 7 სხდომას და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 5 სხდომას.

აღნიშნულ სხდომებზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ გამოიტანა რამდენიმე დასკვნა, მათ შორის 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატების თაობაზე, 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის აღმასრულებელ ორგანოში დაბრუნების თაობაზე.

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე ჩავატარე 2 შეხვედრა ამომრჩეველთან და მოქალაქეთა მიღება.

მოქალაქეთა შეხვედრისას და მიღებაზე წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა სტიქიით მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, შიდა გზების მოწესრიგებას, მინი მოედნის მოწყობას, გარე განათების ნათურების შეცვლას, შიდა გზების მოწესრიგებას და ერთჯერადი დახმარების მიღებას.

აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 15 სხდომა სადაც განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები. მათ შორის საკრებულოს სხდომაზე, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, საკრებულოს კომისიების სხდომაზე განსახილველი საკითხები და ასევე ფრაქციის წევრების მიერ მოქალაქეთა მიღებაზე და ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წამოჭრილი საკითხები.